საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალფენიძე ვლადიმერ ტარასის ძე

ალფენიძე ვლადიმერ ტარასის ძე (ფსევდ. ლადო ბახტრიონელი) (3. III. 1937, სოფ. ოტობაია, გალის ახლანდ. მუნიციპალიტეტი, – 2002, თბილისი), ჟურნალისტი, მწერალი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1981).

დაამთავრა მოსკ. მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი. სხვადასხვა დროს გალის რაიონული გაზეთის *ლიტ.* მუშაკი, გაზ. „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის თანაშემწე, პარტიის თბილ. საქალაქო და ცკ-ის პირველი მდივნის თანაშემწე. 1986–89 იყო საქართვ. მეცნ., ლიტ-რისა და ხელოვნ. მუშაკთა საავტორო უფლებების რესპ. სააგენტოს ხელმძღვანელი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სახელმწ. მრჩეველი. პირველი პოეტური ნაწარმოები „საახალწლო ზღაპარი“ 1954 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი, ლექსების კრებ. „მთები და სიჭაბუკე“ – 1963. მისი მხატვრ. ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოთხრობების კრებ. „ოცდაცამეტი მზის სახოვანი ბრძენი იაკობი“ (1976; ი. გოგებაშვილის პრემია, 1977), რომანები „ცურტავის ზარები“ (1978), „სიყვარული და უკვდავება“ (ტრილოგია, „დუელი მგლის ველზე“, 1980; „მწვერვალები და უფსკრულები“, 1981; „სიკვდილი ქრისტეს ასაკში“, 1982), რომანების, მოთხრობებისა და ლექსების კრებ. „საწუთრო“ (1988), პუბლიც. წიგნები „პორტუგალიური დღიურები“ (1979), „ბრაზილიური დიალოგები“ (1980).

ა-ის ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.